სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსი

სასწავლო კურსის /მოდულის სახელწოდება	უცხოური ენა – გერმანული ენა II (დონე B 2.2) German II (Level B 2.2)
ავტორი (ავტორები)	თამარ ჩახნაშვილი
ლექტორი (ლექტორები)	თამარ ჩახნაშვილი ენების შემსწავლელი ცენტრი, თსუ გერმანული ენის მასწავლებელი ტელ: 899 19-51-01, ელ-ფოსტა: tamro24@hotmail.com
სასწავლო კურსის/მოდულის კოდი	კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად.
სასწავლო კურსის/მოდულის სტატუსი	1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	2. მაგისტრატურა
	3. არჩევითი
სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები	შემოთავაზებული კურსი უზრუნველყოფს ენის კომპეტენციის სრულყოფას არსებული საკომუნიკაციო და საინფორმაციო მოთხოვნების შესაბამისად. კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის დონის ამაღლება B 2.2 დონეზე ენათა საერთო ევროპული ჩარჩოს სტანდარტების მიხედვით. პრაქტიკული კურსის სწავლის მიზანს წარმოადგენს პრაგმატული, კოგნიტიური და აფექტურ-ემოციური განზომილებების ჩამოყალიბება. კურსის მიზანია გაუღრმავოს სტუდენტს გერმანული ენის საკომუნიკაციო (ზეპირი და წერილობითი) უნარ-ჩვევები იმ დონეზე, რომ მან შეძლოს შეძენილი ცოდნის თავისუფლად გამოიყენება გერმანულენოვან ბუნებრივ გარემოში; ლექსიკურ-გრამატიკული და რთული ენობრივი სტრუქტურების დაუფლებით შეძლოს სხვადასხვა სირთულის სამეცნიერო და დარგობრივი ლიტერატურის დამუშავება, გაგება, კრიტიკული ანალიზი და დასკვნების გაკეთება. მთლიანობაში, კურსის მიზანია, მაგისტრანტმა, გერმანული ენის ფლობის დონის შესაბამისად, შეძლოს სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება თავის სასპეციალიზაციო დარგში, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება გერმანულენოვან აუდიტორიაში. *** დარგობრივი ტექსტების პორტფოლიო შედგება ცალკეული მიმართულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.**
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის	) 5 ECTS) საკონტაქტო - 60 სთ (კვირაში 4 სთ პრაქტიკული მეცადინეობა).

შესაბამისად (ECTS)	) დამოუკიდებელი -63 სთ (45 სთ საშინაო დავალებების მოსამზადებლად, 8სთ - კოლოქვიუმებისთვის, 10 სთ გამოცდის მოსამზადებლად).) 2სთ საბოლოო გამოცდის ჩასაბარებლად .) სამუშაო ჯგუფში მე-7 და მე-14 კვირაში მუშაობის დროიდან 2 საათი ეთმობა კოლოკვიუმებს.
დაშვების წინაპირობები	უცხოური ენა – გერმანული ენა I (დონე B 2.1) ან შესაბამისი დონის გამოცდით დადასტურება
სწავლის შედეგები	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი უზრუნველყოფს დარგობრივი ცოდნის და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას. ***ცოდნა და გაცნობიერება***) თავს ართმევს ენის სტრუქტურას და იყენებს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიებს.) ფლობს ფართო ლექსიკას.) თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება.) იცის გერმანულენოვანი სხვადასხვა სახის დისკურსის შექმნის პრინციპები ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები***) B2.2 გავლილი კურსი სტუდენტს საშუალებას აძლევს თავისუფლად, სწორად და ეფექტურად ისაუბროს და გაიგოს მოსმენილი ან წაკითხული ტექსტები სრულიად განსხვავებულ ზოგად, აკადემიურ და სპეციფიკურ თემებზე.) სტუდენტს შეუძლია არა მარტო თავისი დარგობრივი ტექსტების თავისუფლად გაგება და ამავე თემატიკაზე მოხსენებების დაწერა და პრეზენტაცია, არამედ ნებისმიერი სირთულის სამეცნიერო თუ ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობა და სპონტანური კომუნიკაციის დამყარება ნებისმიერ თემაზე იმათთან, ვისთვისაც გერმანული მშობლიური ენაა.) სტუდენტს შეუძლია ყოველგვარი სიძნელის გარეშე გაიგოს ნებისმიერი სახის ზეპირი მეტყველება როგორც უშუალო გარემოში,ისე ტელე ან რადიო გადაცემებში ენის მატარებლის მეტყველების ნებისმიერი სიჩქარის გათვალისწინებით.) სტუდენტს შეუძლია წაიკითხოს ნებისმიერი ფორმის წერილობითი ტექსტი: რეზიუმე, ენობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით რთული ტექსტები,

	როგორიცაა სამეცნიერო– პოპულარული თუ საგაზეთო სტატიები, აკადემიური გამოცემები და ლიტერატურული შრომები. - სტუდენტს შეუძლია გაბმული, გრამატიკულად და ლექსიკურად გამართული ტექსტის, მოხსენების, ესსეს დაწერა, როგორც სამეცნიერო ისე ნებისმიერ თემაზე; - სხვადასხვა სახის კორესპონდენციის, ნებისმიერი სახის ოფიციალური და არაოფიციალური წერილის დაწერა. *დასკვნის უნარი:* - აქვს ლექსიკურ-გრამატიკული მასალის, კლასიფიცირების, სისტემატიზაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარი. - სწორ დასკვნებს აკეთებს ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის ანალიზისას და შეუძლია ანალოგიის წესის გამოყენება სხვა, მსგავსი ლექსიკურ-გრამატიკული კონსტრუქციის ასგებად. *კომუნიკაციის უნარი:* - მეტყველებს გასაგებად სტანდარტიზებულ გერმანულ ენაზე; - საუბრის დროს სტუდენტი იცავს გერმანული ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციას და აქვს რელევანტური გამოთქმა. - დისკუსიაში ჩართვისას გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნა საშუალებას აძლევს გამოთქვას საკუთარი აზრი და დაიცვას იგი მტკიცე არგუმენტებით მისთვის ცნობილ სამეცნიერო დარგში. - შეუძლია აკადემიური მიზნებით წერილობით წარმოადგინოს საკუთარი თეზა შესაბამისი მსჯელობით. - შეუძლია მნიშვნელოვანი მონაწილეობის მიღება დისკუსიებში, რელევანტური არგუმენტებით, ახსნა-განმარტებითა და კომენტარით. - იყენებს იდიომატურ გამოთქმებს, რაც ექსპრესიულობას ანიჭებს მის ნათქვამსა თუ დაწერილს. - სტუდენტს შეუძლია დარგობრივი ტექსტების გაგება, თარგმნა და რეზიუმირება. - სტუდენტს შეუძლია ფილმების შესახებ მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოთქმა, კამათში მონაწილეობა, საკუთარი აზრის არგუმენტირება. - სხვადასხვა სახის კორესპონდენციის, ნებისმიერი სახის წერილის, სამოტივაციო წერილის, მოხსენების, ესსეს დაწერას. - სტუდენტი თავს ართმევს ნებისმიერ

	საკომუნიკაციო სიტუაციას გერმანულენოვან გარემოში. - სტუდენტი აკეთებს აკადემიურ პრეზენტაციას გერმანულენოვანი სპეციალისტებისა და არასპეციალისტების წრეში. ***სწავლის უნარი:*** - შეუძლია დამოუკიდებლად და ჯგუფურად სწავლა; - საკუთარი ცოდნის მუდმივად და თანამიმდევრულად შემოწმება. ***ღირებულებები:*** - სტუდენტმა იცის გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურული ღირებულებები; - სტუდენტს ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულებები.
სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი	იხ. დანართი
სწავლების/სწავლის მეთოდები	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი. სასწავლო კურსი მთლიანად ინტერაქტიულ მეთოდს ემყარება, რაც განაპირობებს სტუდენტის მაღალ აქტივობას და მის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. გარდა ვერბალური და წიგნზე მუშაობის მეთოდებისა სწავლების პროცესში ინტეგრირებულია სხვადასხვა მეთოდები: ❖ ჯგუფური მუშაობა ❖ წყვილებში მუშაობა ❖ როლური თამაშები აქტიური დისკუსიების, ასოციოგრამების და გონებრივი შტურმის მეთოდებით სწავლა-სწავლების პროცესი უფრო კრეატიული ხდება, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურობას.
შეფასების კრიტერიუმები	დასწრება - 10 ქულა (ე.ი. 6 დასწრება -1 ქულა); აქტივობა -20 ქულა (წერითი და ზეპირი დავალებების მომზადება, დისკუსიაში მონაწილეობა, 2 პრეზენტაცია სემესტრში) **პრეზენტაცია ფასდება შემდეგნაირად:** ფორმალური მხარე (ფორმატი), რომელშიც შესაძლებელია გაერთიანდეს: რეგლამენტის დაცვა, მასალები, გაფორმების ვიზუალური მხარე და სხვ. – 1 ქულა შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგები და მათ არგუმენტირებული დასაბუთება და სხვ. – 3 ქულა პრეზენტაციის ტექნოლოგია ანუ კონტაქტი

	აუდიტორიასთან და სხვ. – 1 ქულა I კოლოკვიუმი - 15 ქულა; II კოლოკვიუმი - 15ქულა; კოლოკვიუმის ფორმატი: წერილობითი ტესტი (ღია და დახურული ტიპის კითხვებით)-30 ქულა (თითო საკითხი 0.5 ქულა). დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - მინიმუმ 11 ქულა; დასკვნით გამოცდაზე მისაღები მინიმალური ქულა - 20 ქულა; დასკვნითი გამოცდის (ტესტი ღია და დახურული ტიპის კითხვებით) მაქსიმალური ქულა – 40 ქულა (ქულათა გადანაწილება ტესტში მოცემულია); შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამური ქულა -100 ქულა. შეფასების სისტემა: 91-100 ქულა _ ფრიადი; 81-90 ქულა _ ძალიან კარგი; 71-80 ქულა _ კარგი; 61-70 ქულა _ დამაკმაყოფილებელი; 51-60 ქულა _ საკმარისი; 41-50 ქულა _ ვერ ჩააბარა (საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება); 0-40 ქულა _ ჩაიჭრა (დისციპლინის განმეორებით გავლის აუცილებლობა)
ძირითადი ლიტერატურა	1. Das Mittelstufenbuch Teil 1. Anne Buscha, Gisela Linthout. Schubert- Verlag, Leipzig 2002. 2. Lehr- und Übungsbuch der deutschen Grammatik Hilke Dreyer, Richard Schmitt Verlag für Deutsch. 1991
დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	3.Die deutsche Demokratie Horst Pötzsch. Bundeszentrale für politische Bildung. Bonn 1999 4. Generation E Deutschsprachige Landeskunde im europäischen Kontext M. Berger, M Martin. Klett 2006 5. Fachsprache Politik R. Tabukashvili 6. ჟურნალი Deutsch perfekt ელექტრონული ვერსია www.deutsch-perfekt.com
დამატებითი ინფორმაცია/პირობები	კურსის განსახორციელებლად გამოიყენება აუდიო აპარატურა, კომპიუტერი, ინტერნეტი

სასწავლო კურსის შინაარსი

N	თემა (ლექცია/სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი/ ლაბორატორიული სამუშაო და ა. შ.)	სასწავლო მასალა
1	**Kapitel 4.** **Warum?- Träume und Realität** **Schlafen** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch S.115-119
2	**Kriminalität** **Demokratie** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch S.120-125 3.Die deutsche Demokratie S.6-9
3	**Studienwahl** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch S.126-132
4	**Grammatik** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა **Grundgesetz**	1.Das Mittelstufenbuch S.133-138 2.Lehr- und Übungsbuch der deut. Grammatik. # 27. S.145-147 #30. S.152-154 3. Die deutsche Demokrati S.10-14
5	**Kapitel 5.** **Wie?- Höflich und schnell** **Zwischen den Kulturen** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch . S.141-146
6	**Neue Kommunikationswege** **Grundrechte** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch S.147-154 3.Die deutsche Demokratie S.15-17
7	**Richtig telefonieren** **Kontrollarbeit** **პრეზენტაციები (დარგობრიც თემატიკაზე)**	1.Das Mittelstufenbuch S.155-162 **Test**
8	**Lektion I. Bundeskanzler, Bundespräsident, Bundesregierung** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	5.Fachsprache Politik S.7-23
9	**Grammatik** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch S.163-173 2.Lehr- und Übungsbuch der deut. Grammatik. # 53. S.241-248
10	**Kapitel 6.** **Was?-Altes und Neues** **Erfindungen** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch S.174-182
11	**Geräte** **Lektion II. Bundestag. Bundesverfassungsgericht** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch S.183-189 5.Fachsprache Politik S.24-41
12	**Trends der "Spass-Gesellschaft"** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	1.Das Mittelstufenbuch S.190-196
13	**Grammatik**	1.Das Mittelstufenbuch S.197-203

	დარგობრივ ტექსტზე მუშაობა	
14	**Grammatik** დარგობრივ ტექსტზე მუშაობა **Kontrollarbeit**	2.Lehr- und Übungsbuch der deut. Grammatik. # 53. S.248-251 **Test**
15	**Lektion III. Partei. Bundestag** **Schriftliche Prüfung** **პრეზენტაციები (დარგობრიც თემატიკაზე)**	5.Fachsprache Politik S.42-57 **Test**